გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2023 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ბაღდათის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**
   გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა ადგილობრივად სოფლად მცხოვრები ქალების ეკონომიკური გაძლიერების გზით
2. **თემატიკა:**
   გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და გენდერულად მგრძნობიარე მუნიციპალური სერვისების განვითარება;
3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობა

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**
   (ძირითადი/ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: დასახელება, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა, და ა.შ. მაქსიმუმ ნახევარი გვერდი)

ბაღდათის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს დასავლეთ ნაწილში, იმერეთის დაბლობზე, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს დამაკავშირებელ, ქუთაისი-ბაღდათი-ბენარის საავტომობილო გზაზე. ბაღდათი ესაზღვრება რეგიონის ცენტრს (ქ. ქუთაისს) და 6 მუნიციპალიტეტს, აქედან 4 მათგანთან დაკავშირებულია შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებით. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ბაღდათი, რომელიც საქართველოს დედაქალაქიდან – თბილისიდან დაშორებულია- 220 კმ-ით-(3 სთ და 30 წუთის სავალი დროით), იმერეთის რეგიონის ცენტრიდან, ქალაქი ქუთაისიდან 25 კმ-ით(0,5 საათი სავალი დროით) , ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან 44 კმ-ით(37 წუთი სავალი დროით). უახლოესი რკინიგზის სადგურიდან 19 კმ-ით (19 წუთი დროით). მუნიციპალიტეტის ტერიტორია უმეტესად მთაგორიანია, ზღვის დონიდან 30-1908 მ-ზეა, ფართობი — 815 კვ. კმ-ია, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 82.22 კვ.კმ. ბაღდათის ტერიტორიის 67,5% ტყით არის დაფარული. ჰავა ნოტიო და სუბტროპიკულია. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და შედარებით ცხელი ზაფხული. მუნიციპალიტეტი ადვილად მისადგომია როგორც სარკინიგზო, ასევე, საავტომობილო ტრანსპორტით.

ბაღდათის მუნიციპალიტეტი ტერიტორია დაყოფილია 15 ტერიტორიულ ერთეულად, ერთი ქალაქ -ბაღდათი და 30 სასოფლო დასახლება, აქედან ერთი თემი - მაღალმთიან დასახლებათა სტატუსით.

მოსახლეობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2021 წლის პირველი იანვრის მონაცემებით შეადგენს - 18400. ქალაქად ცხოვრობს 17%, ხოლო 83% - სოფლად. აქედან ახალგაზრდები 626 ცხოვრობს ქალაქად, ხოლო 3229 - სოფლად.

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:
(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

- **შიდა ფაქტორები** - იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ.: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ.;

  მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მზაობა, ქმედითი გენდერული საბჭოს არსებობა. გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმა, სადაც საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებად განსაზღვრულია ქალთა ეკონომიკური გაძლიერება. მაღალი კვალიფიკაციის გენდერული საბჭოს წევრები, რომლებიც ჩართული იყვნენ საბჭოს გენდერული პოლიტიკის შემუშავების პროცესში და შესაბამისად აქტივოებების დაგეგმვა-განხორციელებაშიც. ადგილობრივ ბიუჯეტში პროგრამა: გენდერული თანასწორობის ხელშეყობა კოდით: 0603. მუნიციპალიტეტში არსებული შენობა ნაგებობის გამოყოფილი ფართი და კვადრატულობა. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა სახის ინსტრუმენტები, სპეც. ტექნიკა და აპარატურა;

- **გარე ფაქტორები** -

ქვეყნის გენდერული პოლიტიკა. საერთაშორისო და ქვეყნის შიგნით განვითარების პარტნიორების მოქმედი პროექტები გენდერული მიმართულებით.

6. **პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:**

- **გამოწვევა** - პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებების მითითება;

  ისევე როგორც ქვეყნის მთელ ტერიოტორიაზე, ბაღდათის მუნიციპალიტეტშიც მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, რადგან ეს პირდაპირ განაპირობებს იმას, თუ რამდენად დამოუკიდებელია ქალი, რამდენად აიმაღლებს ხმას განსაკუთრებით მაშინ, თუ ის ოჯახში ძალადობის მსხვერპლია. ქალების უმეტესობას განსაკუთრებით სოფლებში, ვისაც არა აქვს შესაბამისი განათლება, ასევე არა არიან დასაქმებულები, ნაკლებად აქვთ ან საერთოდ არა აქვთ შესაძლებლობა ეკონომიკური აქტივობა განახორციელონ, რასაც სხვა ფაქტორებთან ერთად განაპირობებს ის გარემოება, რომ ქალებს ნაკლებად აქვთ საკუთრებაში რეგისტრუირებული ქონება, შესაბამისად არა აქვთ წვდომა საკრედიტო რესურსებზე, ასევე ნაკლებად აქვთ სამეწარმეო უნარები, რომ თუნდაც მცირე ბიზნესი წამოიწყონ, მაგალითად არა აქვთ ქვეყნის შიგნით არსებულ დაფინანსების მექანიზმების გამოყენების შესაბამისი უნარები და ფინანსური შესაძლებლობები.

- **წარსული გამოცდილება** - როგორ ხდებოდა გამკლავება აღნიშნულ პრობლემასთან და რა უშლიდა ხელს მის აღმოფხვრას
  მუნიციპალიტეტში ქალების გაძლიერების მიზნით არსებეობს სხვადასხვა სოციალური პროგრამა, ძირითადი აქცენტი კეთდება ერთჯერად ფინანსურ გასაცემელზე, რაც აკმაყოფილებს იმ მომენტში არსებულ მწვავე სოციალურ საჭიროებას, შესაბამისად ეს არ არის საკმარისი და ვერ იქნება ეფექტური მექანიზმი მოწყვლად ქალთა მდგრადი განვითარებისათვის. მუნიციპალიტეტში გარდა გენდერული საბჭოსა არსებობს ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისი კომისია, რაც ხელს უწყობს მოწყვლადი ქალებისა და გოგონების გამოვლენას.

- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - მოკლე აღწერა და მიღწეული შედეგი

პროექტი გულისხმობს ბაღდათის მუნიციპალიტეტში სოფლად მცხოვრები მოწყვლადი ქალების გაძლიერების მხარდაჭერას მათი უნარების გაუმჯობესების, საზოგადოებაში ინტეგრაციის და ბიზნეს საქმიანობის წამოწყებაში მხარდაჭერის გზით.
პროექტის განხორციელებით საბოლოოდ მხრდაჭერილი იქნა სოფელ დიმში მხოვრები 20 ქალი.
მათ გაუუმჯოებსდათ სამეწარმეო უნარები, მიიღეს კონკრეტული ცოდნა, აიმაღლეს კომპეტენციები ახალი პროფესიების დაუფლებით (პოლიმერული თიხის ნაკეთობების დამზადები და სტილისტობის შემსწავლელი პრაქტიკული კურსები), ასევე გაიარეს ბიზნესის დაგეგმვის და მართვის მიმართულებებით ტრენინგ მოდულები.
ამასთან, გადამზადებულ ქალებს მიეცათ შესაძლებლობა ბიზნესის წამოწყებისთვის საჭირო ინვენტარის მისაღებად მონაწილეობა მიეღოთ, პროექტის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში. რის შედეგადაც საწარმოო ინვენტარი გადაეცა 5 ბენეფიციარს.
პროექტის მყისიერი შედეგებია:

- სამეწარმეო კომპეტენცია ამაღლებული 20 ქალი;
- მხარდაჭერილი 5 სტარტაპი ;
- მონაწილე ბენეფიციარების გაზრდილი თავდაჯერებულობა და მოტივაცია;
- ბენეფიციართა გაზრდილი ცნობადობა და თემში ქალთა სოციალური სტატუსი.

პროექტის განხორციელება მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

- კვლევა;
- იდენტიფიცირებული საჭიროების ასახვა პოლიტიკის დოკუმენტში;
- პროექტის მონაწილე მოწყვლადი ჯგუფის ქალების ახალი პროფესიების დაუფლება;

- ახალ პროფესიულ უნარებს დაუფლებული ბენეფიციარების გადამზადება ბიზნესის დაგეგმარებასა და მცირე/მიკრო ბიზნესის მართვის კურსებზე;
- ბიზნეს გეგმების შედგენა და მათი მხარდაჭერა საჭირო ინვენტარის გადაცემით;

7. **განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:**
(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო. გთხოვთ, პრაქტიკის აღწერისას თანმიმდევრულად მიყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს)

- **პროექტის შინაარსი;**

  I ეტაპი

  პროექტ ,,სოფლად მცხოვრები ქალების ეკონომიკური გაძლიერება" დანერგვა და განხორციელება განაპირობა იმ კვლევის შედეგებმა, რომელიც გენდერული თანასწორობის საბჭომ ჩაატარა. კვლევა ჩატარდა მუნიციპალიტეტის 14 ადმინისტრაციულ ერთეულში როგორც ფოკუს ჯგუფების, ასევე ანკეტირების მეთოდოლოგიის გამოყენების გზით. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 125, ხოლო ანკეტირების მეთოდოლოგიის გამოყენების გზით გამოიკითხა 130 ქალი. კვლების მონაწილეები იყვნენ განსხვავებული საჭიროებების, ასაკისა თუ სოციალური სტატუსის მქონე ქალები და გოგონები, მათ შორის - მარტოხელა და მრავალშვილიანი დედები, შშმ პირები, დასაქმებული და დაუსაქმებელი ქალები და ა.შ. კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემები აისახა გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმაში.

  დიმის თემში, რომელიც მოიცავს ქვედა და ზედა დიმს და საიმედოს, გამოკითხული რესპოდენტის უმრავლესობა მომხრე იყო პროფესიული განათლების პროგრამების დანერგვის, ბევრმა მათგანმა აღნიშნა, რომ სიამოვნებით ჩაერთვებოდნენ გადამზადების ისეთ პროგრამებში, როგორიცაა პოლიმერული თიხის, ბუღალტერიის სასწალო კურსები. ასევე კვლევისას გამოიკვეთა, რომ ქალების ეკონომიკური გაძლიერიების და დასაქმებისადმი ხელმისაწვდომობის მიზნით სასურველია მეწარმეობისა და ბიზნეს პროექტების მართვის უნარ - ჩვევების განმავითარებელი ტრენინგების დანერგვა. მას შემდეგ, რაც აღნიშნული საკითხი აისახა მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმაში, საბჭომ მოიძია პარტნიორი თანადაფინანსებისათვის, ქალთა ფონდი ,,სოხუმი", რის დასტურადაც შედგა შეთანხმება ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თვითმმართველობასა და ქალთა ფონდ ,,სოხუმს შორის. შეთანხმება შედგა 2018 წლის 24 აპრილის მუნიციპალიტეტსა და ფონდს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, რომლის მე3 მუხლის 3.6 პუნქტი ითვალისწინებს ქალთა სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების ფსიქო-სოცილაური და ეკონომიკური მდგომარეობის

გაუმჯობესების ხელშწყობას. დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი სასწავლო კურსები

- პოლიმერული თიხის შემსწავლელი კურსები
- საბუღლტრო აღრიცხვის კურსი
- სტილისტობის შემსწავლელი კურსი.

კურსის მონაწილეების შეჩევა მოხდა აპლიკაციების შევსების გზით, მონაწილეების უმეტესობა იყვნენ მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლები. კურსების პედაგოგების შერჩევისას, შეძლებისდაგვარად მოხდა გათვალისწინება, რომ ისინიცი ყოფილიყვნენ მოწყვლადი ჯგუფის ქალები, მაგალითად სტილისტი გახლდათ მარტოხელა დედა.
პროგრამის განხორციელების მიზნით ფონდი ,,სოხუმი" უზრუნველყოფდა სასწავლო კურსის სამი პადაგოგის სახელფასო ანაზღაურებას, ასევე პოლიმერული თიხის და სტილისტისათვის საჭირო მასალის შესყიდვას, ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფდა ერთი პედაგოგის სატრანსპორტო ხარჯს და კოფე-ბრეიკის ხარჯს. ასევე უზრუნველყოფდა შესაბამის სივრცეს, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა შესაბამისი საოფისე ტექნიკით. ასევე ადგილობრივმა თვითმმართველობამ უზრუნველყო პოლიმერული თიხისათვის საჭირო ელ. ღუმელის შეძენა.

IIეტაპი

გენდერული საბჭოს ორგანიზებით განხორციელებული სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ , საგანმანათლებლო პროგრამების მონაწილე ქალებისათვის ჩატარდა ორდღიანი ინტენსიური კურსი, რომელიც ეხებოდა ბიზნესის დაგეგმარებასა და მცირე/მიკრო ბიზნესის მართვას. კურსი ჩატარდა მაღალკვალიფიციური ტრენერის ჩართულობით.

III ეტაპი
მეორე ეტაპის დასრულების შემდეგ ბენეფიციარებმა მონაწილეობა მიიღეს გამოცხადებულ მცირე საგრანტო კონკურსში, რადგანაც წარმოდგენილი განაცხადები თანაბარი ქულებით იქნა შეფასებული, კომისიურად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ ყველა კონკურსანტისთვის ბიზნესის წამოწყების ხელშესაწყობად გადასცემოდათ მოთხოვნილი ინვენტარი. საბოლოოდ მოხდა 5 ბენეფიციარის წახალისება და მათთვის ინვენტარის შესყიდვა და გადაცემა.
აქტივობათა გეგმა/გრაფიკი (გთხოვთ წარმოადგინოთ ცხრილის სახით);

საგანმანათლებლო პროექტის მსმენელების/მონაწილეების შესარჩევად აპლიკაციების შევსება	**2022 წლის ოქტომბერი-ნოემბერი**
პრაქტიკის(საგანმანათლებლო) კურსები	**2022 წლის ნოემბერი-2023 წლის თებერვალი**

ბიზნეს დაგეგმარებისა და მცირე მიკრო ბიზნესის მართვის კურსები	2023 წლის თებერვალი
მცირე საგრანტო პროექტების გამოცხადება	2023 წლის მარტი
ბენეფიციარების წახალისება	2023 წლის აპრილი

- **პროექტის განხორციელებისათვის მიღებული/გაფორმებული გადაწყვეტილებების, ან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალი** (მუნიციპალიტეტის რელევანტური სტრატეგიული დოკუმენტები, განვითარების გეგმა, ბრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები, რეზოლუციები, შეხვედრის ოქმები, ინსტრუქციები და ა.შ.). *<u>აღნიშნული დოკუმენტაცია თან უნდა დაერთოს განაცხადის შევსებულ ფორმას;</u>*

  დანართი N1 ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრებ ქალთა სპეციფიკური საჭიროებათა შეფასების ანგარიში;
  დანართიN2 განკარგულება ბაღდათის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ
  დანართი N3 გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმა
  დანართი N4 შეთანხმება1 (მუნიციპალიტესა და ფონდ ,,სოხუმს" შორის)
  დანართი N 5 შეთანხმება2 (მუნიციპალიტესა და ფონდ ,,სოხუმს" შორის)
  დანართი N 6 მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თვითმმართველობასა და ფონდ სოხუმს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
  დანართი N7 შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება(ელ ღუმელის შესყიდვა)
- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების** (მ.შ. მიზნობრივი და მოწყვლადი ჯგუფების, უმცირესობების, ქალების, ახალგაზრდების, ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების, დასახლების საერთო კრების, მერის მრჩეველთა საბჭოს, კერძო სექტორის წარმომადგენლების, საჯარო დაწესებულებების და სხვა)

  სოფლად მცხოვრები ქალების საჭიროებების კვლევა. კვლევა ჩატარდა მუნიციპალიტეტის 14 ადმინისტრაციულ ერთეულში, როგორც ფოკუს ჯგუფების, ასევე ანკეტირების მეთოდოლოგიის გამოყენების გზით. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 125, ხოლო ანკეტირების მეთოდოლოგიის გამოყენების გზით გამოიკითხა 130 ქალი. კვლების მონაწილეები იყვნენ განსხვავებული საჭიროებების, ასაკისა თუ სოციალური სტატუსის მქონე ქალები და გოგონები, მათ შორის- მარტოხელა და მარავალშვილიანი დედები, შშმ პირები, დასაქმებული და დაუსაქმებელი ქალები და ა.შ.
- **ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:**
  ა) ადამიანური რესურსი - საკუთარი/არასაკუთარი;
  მერიის გენდერულ საკკითხებზე პასუხისმგებელი პირი და გენდერული საბჭოს წევრები

ბ) ფინანსური - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი/დონორის დახმარება;
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და ფონდი ,,სოხუმი" ;
გ) გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;
მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის სივრცე, საოფისე ტექნიკა;

- **პროექტის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**
  ძირეული პრობლემა არ გამოკვეთილა, თუმცა ფინანსური რესურსების არასაკმარისმა რაოდენობამ გავლენა მოახდინა პროექტის მასშტაბებზე.

- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**
  ქალთა ფონდი ,,სოხუმი"

8. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:
(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

პროექტის დასრულების შემდეგ 4 ქალმა დაიწყო პოლიმერული თიხის ნაკეთობების დამზადება და რეალიზება, საამისოდ აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებს. ასევე ერთ-ერთი ბენეფიციარი დასაქმდა სტილისტად. აღნიშნულმა კურსმა ქალბატონებს შესძინა როგორც ეკონომიკური სარგებელი, ასევე შემატა მათ მოტივაცია და თავდაჯერებულობა.

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:
(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები (მ.შ.: კონკრეტული მუნიციპალიტეტისათვის სპეციფიკური ფაქტორების ჩათვლით);

- ადგილობრივი თვითმმართველობის მზაობა;
- ქალების საჭიროებების სწორად იდენტიფიცირება;
- აქტიური გენდერული საბჭო;
- თანამშრომლობის მექანიზმების დანერგვა;

ინფორმაცია პრაქტიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ (გთხოვთ, მიყვეთ პუნქტობრივად):
ა) პროექტის შედეგად მუნიციპალური სერვისის მიწოდებაში ასახული ცვლილება;
ბ) პროექტის შედეგად ადგილობრივ ბუჯეტში ასახული ცვლილება;
გ) მოსახლეობის მხარდაჭერა;

ინიციატივობის მდგრადობას განაპირობებს გენდერული საბჭოს სამოქმეო გეგმში პროექტის განხორციელების მომავალი 1 წლიანი პერიოდი და შესაბამისი მუხლი 2024 წლის ბიუჯეტში;

პროექტის მდგრადობას განაპირობებს ასევე განხორციელების შემდეგ გაძლიერებული ქალების გაზრდილი თავდაჯერებულობისა და მოტივაციის მაჩვენებელი, ამასთან პროექტის ბოლოს სოციალურ ქსელებში გავრცელებული ვიდეორგოლი, რაც დასტურდება მოსახლეობის მაღალი ინტერესით ვიდეო-რგოლის ნახვებიდან და უკუკავშირიდან გამომდინარე, ვედეორგოლმა თავის მხრივ კიდევ უფრო გაზარდა ბენეფიციართა ცნობადობა და ხელი შეუწყო თემში ქალთა სოციალური სტატუსის ზრდას.

10. საკრებულოს როლი:

- **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**
- **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პრეოქტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**
- **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ;**

  პირველ ეტაპზე ინიციატივა განხილული იქნა გენდერულ საბჭოსთან, რომლის თავმჯდომარეც არის ამავდროულად საკრებულოს თავმჯდომარე, შემდეგ დადგენილი წესით მხარდაჭერილ იქნა საკრებულოს მიერ, რაც დადასტურებულია პოლიტიკის დოკუმენტის სამოქმედო გეგმაში პროექტის გათვალისწინებით.

11. პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;

პროექტის წარმატებით განხორციელებს შემდეგ დაგეგმილია მსგავსი ინიციატივებისათვის პარტნორების მოძიება;

12. საკონტაქტო ინფორმაცია:

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა);
  სოფიკო ნატრიაშვილი- ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი. T95090704. ელ-ფოსტა: sopio.natriashvili@gmail.com

- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: იმ პირთა სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.
  ნოდარ გიორგიძე-გენდერული საბჭოს თავმჯდომარე- T 595332633
  კახა გოგნაძე- ადმინისტრაციული სამსახურის უფოსი (გენდერული საბჭოს წევრი) - T595417474

13. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

გთხოვთ განაცხადს თან დაურთოთ:

ა) პროექტის განხორციელების პროცესში შექმნილი დოკუმენტები;

ბ) პროექტთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ანგარიშები (მ.შ.: მერის, საკრებულოს წევრის ანგარიშები);
გ) პროექტის განხორციელების და ფოტო-ვიდეო მასალა ან შესაბამისი ლინკი.

- ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძლადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისი კომისიის შექმნის ბრძანება ;
- პროექტის მიმდინარეობის ამსახველი ფოტო მასალა და ვიდეორგოლი; ვიდეორგოლი
- სააპლიკაციო ფორმის ლინკი - სასწავლო კურსები დიმის თემში მცხოვრები ქალებისათვის სააპლიკაციო ფორმა

განაცხადის მიღების ვადაა 2023 წლის 17 ნოემბერი